

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი



ელექტრონული ტენდერი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა
(უფასო სასადილო)

შესყიდვის კატეგორია - **55300000** - რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - **55321000** - კერძების მომზადების მომსახურება

სატენდერო დოკუმენტაცია

ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში – სისტემა) მეშვეობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

2016 წ.

ტექნიკური დოკუმენტაცია (პირობები)

2.1 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2.2 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტატის (შემდგომში - ქალაქი ფოთი) მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადაილო)

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 194864 ლარს, დღგ-ს გარეშე.

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

შესყიდვის ობიექტის ვადები - 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. თუ სატენდერო პროცედურებიდან გამომდინარე ხელშეკრულება გაფორმდება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ, მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.

ანგარიშსწორების პირობები - წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

სატენდერო წინადადების ფასი - ხარჯი, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე. პრეტენდენტი არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ტენდერში შერჩევა-შეფასება ხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულების ღირებულებაში დამატებით იქნება გათვალისწინებული დღგ-ს ოდენობა.

გამოცდილება:

მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 2014-2015-2016 წლების განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ, კონკრეტული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებ(ებ)ის, მიღება - ჩაბარების აქტ(ებ)ი), რომლის შესაბამისად შესრულებული ანალოგიური მომსახურების საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 200 000 ლარს.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობა - „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-11 მუხლის 21 პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია: ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული

საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციის მიერ გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტია 10%-ის ოდენობით.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების ვადას.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ;

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახური.

გასაწევი მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერა

მომსახურება მოიცავს უფასო სასადილოში მიმდგრებული მოქალაქეების (230 ადამიანი) ყოველდღიურ ერთჯერად კვებით მომსახურებას და ასევე მათთვის ვინც ვერ ახერხებს უფასო (20 ადამიანი) სასადილოში მისვლას მათთან სახლში მიტანის მომსახურებას. მიმწოდებლის მიერ მოწოდებული უფასო სასადილოს კვებითი მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ექიმ ან/და ექთან დიეტოლოგის მომსახურება. უფასო სასადილოს კვებითი მომსახურებისათვის სრულად უნდა იყოს მოცემული მომსახურების გრაფიკი და შემოთავაზებული მენიუ.

10 დღიური მენიუ						
1 დღე						
სუფი მაკარონის ხორცი		ბრინჯის ფაფა			კომპოტი	
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	რაოდ-ბა
კარტოფილი	0,13	ბრინჯი	0,05	ხილი		0,045
მაკარონი	0,025	შაქარი	0,015	შაქარი		0,024
მწვანილი	0,006	მარგარინი	0,015	პური		0,3
სტაფილო	0,025	სგუმონი	0,03			
ტომატი	0,005					
ხახვი	0,02					
ხორცი	0,04					
ზეთი	0,005					
2 დღე						
სუფი ლობიოს		კატლეტი კარტოფილის გარნირით			კომპოტი	
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	რაოდ-ბა
ლობიო	0,071	კარტოფილი	0,26	ხილი		0,045
მწვანილი	0,006	კატლეტი	0,15	შაქარი		0,024
სტაფილო	0,025	მარგარინი	0,013	პური		0,3
ტომატი	0,002	კანფეტი	0,1			
ხახვი	0,02					
ზეთი	0,01					

3 დღე						
ბორში ბოსტნეულის		მანის ფაფა			კომპოტი	
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	
კარტოფილი	0,1	მანის ბურღული	0,07	ხილი		0,045
კომბოსტო	0,05	მარგარინი	0,01	შაქარი		0,024
მწვანილი	0,006	შაქარი	0,02	პური		0,3
სტაფილო	0,025	სგუმონი	0,03			
ტომატი	0,002					
ხახვი	0,02					
ზეთი	0,01					
ჭარხალი	0,03					

4 დღე						
სუფი ბრინჯის კარტოფილით		ქათამი წიწიბურის გარნირით			კომპოტი	
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	
კარტოფილი	0,13	ბარკალი	0,22	ხილი		0,045
ბრინჯი	0,04	წიწიბურა	0,095	შაქარი		0,024
მწვანილი	0,006	ზეთი	0,01	პური		0,3
სტაფილო	0,025	პეჩენიე	0,1			
ტომატი	0,002					
ხახვი	0,02					
ზეთი	0,01					

5 დღე						
ბორში ბოსტნეულის		ლობიო			კომპოტი	
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	
კარტოფილი	0,1	ლობიო	0,15	ხილი		0,045
კომბოსტო	0,05	ნიორი	0,001	შაქარი		0,024
მწვანილი	0,006	მწვანილი	0,006	პური		0,3
სტაფილო	0,025	სუნელი	0,002			
ტომატი	0,002	ტომატი	0,001			
ხახვი	0,02	ხახვი	0,02			
ზეთი	0,01	ზეთი	0,01			
ჭარხალი	0,03					

6 დღე						
სუფი მაკარონის კარტოფილით		ბრინჯის ფაფა			კომპოტი	
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	საქონლის დასახელება	რაოდ-ბა	
კარტოფილი	0,13	ბრინჯი	0,05	ხილი		0,045
მაკარონი	0,025	შაქარი	0,015	შაქარი		0,024
მწვანილი	0,006	მარგარინი	0,015	პური		0,3
სტაფილო	0,025	სგუმონი	0,03			
ტომატი	0,002					
ხახვი	0,02					
ზეთი	0,01					

7 დღე						
სუფი ბრინჯის		სოსისი მაკარონის გარნირით			კომპოტი	

კარტოფილით						
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა		საქონლის დასახელება	რაოდ-ბა		საქონლის დასახელება
კარტოფილი	0,13		სოსისი	0,12		ხილი
ბრინჯი	0,04		მარგარინი	0,015		შაქარი
მწვანილი	0,006		წიწიბურა	0,07		პური
სტაფილო	0,025					
ტომატი	0,002					
ხახვი	0,02					
ზეთი	0,01					
8 დღე						
სუფი მაკარონის კარტოფილით			მაკარონი ყველით, ფუნთუშა			კომპოტი
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა		საქონლის დასახელება	რაოდ-ბა		საქონლის დასახელება
კარტოფილი	0,13		მაკარონი	0,07		ხილი
მაკარონი	0,025		ყველი	0,03		შაქარი
მწვანილი	0,006		მარგარინი	0,013		პური
სტაფილო	0,025		ფუნთუშა	1		
ტომატი	0,002					
ხახვი	0,02					
ზეთი	0,01					
9 დღე						
ბორში ხორცი			მანის ფაფა, კვერცხი			კომპოტი
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა		საქონლის დასახელება	რაოდ-ბა		საქონლის დასახელება
კარტოფილი	0,1		მანის ბურღული	0,07		ხილი
კომბოსტო	0,05		მარგარინი	0,01		შაქარი
მწვანილი	0,006		შაქარი	0,02		პური
სტაფილო	0,025		სგუშონი	0,03		
ტომატი	0,002		კვერცხი	2		
ხახვი	0,02					
ზეთი	0,01					
ჭარხალი	0,03					
ხორცი	0,04					
10 დღე						
სუფი ბრინჯის კარტოფილით			ლობიო			კომპოტი
საქონლის დასახელება	რაოდ-ბა		საქონლის დასახელება	რაოდ-ბა		საქონლის დასახელება
კარტოფილი	0,13		ლობიო	0,15		ხილი
ბრინჯი	0,04		ნიორი	0,001		შაქარი
მწვანილი	0,006		მწვანილი	0,006		პური
სტაფილო	0,025		სუნელი	0,002		
ტომატი	0,002		ტომატი	0,001		
ხახვი	0,02		ხახვი	0,02		
ზეთი	0,01		ზეთი	0,01		

4. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

- ა) ფასების ცხრილს (დანართი №1 - ის შესაბამისად) მიმწოდებლის მიერ ფასების ცხრილის წარმოუდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას.
- ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები დანართი №2- ის შესაბამისად.
- გ) 2014-2015-2016 წლების განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ, კონკრეტული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებ(ებ)ის, მიღება - ჩაბარების აქტ(ებ)ი), რომლის შესაბამისად შესრულებული ანალოგიური მომსახურების საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 200 000 ლარს.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან,

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

მაია სულავა ტელ: +995 493 22-45-54

მობილური 599 748 436

ელ. ფოსტა: potitenderi2011@gmail.com

წერილობითი მომართვის შემთხვევაში - ქალაქ ფოთი,

დ. აღმაშენებლის ქუჩა № 12, სატენდერო კომისია

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით
უზრუნველყოფა (უფასო სასადილო)

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა 10 დღე 1კაცზე	რაოდენობა 365 დღე 230 კაცზე	ერთეულის ფასი	ღირე ბულება
1	ბარკალი	0,22	1846,9		
2	ბრინჯი	0,22	1846,9		
3	ზეთი	0,125	1049,375		
4	კანფეტი	0,1	839,5		
5	კარტოფილი	1,34	11249,3		
6	კატლეტი	0,15	1259,25		
7	კვერცხი	2	16790		
8	კომბოსტო	0,15	1259,25		
9	ლობიო	0,371	3114,545		
10	მაკარონი	0,215	1804,925		
11	მანის ბურღული	0,14	1175,3		
12	მარგარინი	0,091	763,945		
13	მწვანილი	0,072	604,44		
14	ნიორი	0,002	16,79		
15	პეჩენიე	0,1	839,5		
16	პური	3,0	25185		
17	შედედებული რძე	0,12	1007,4		
18	სოსისი	0,12	1007,4		
19	სტაფილო	0,25	2098,75		
20	სუნელი	0,004	33,58		
21	ტომატი	0,025	209,875		
22	ფუნთუშა	1	8395		
23	ყველი	0,03	251,85		
24	შაქარი	0,31	2602,45		
25	წიწიბურა	0,095	797,525		
26	ქარხალი	0,09	755,55		
27	ხახვი	0,24	2014,8		
28	ხილი	0,45	3777,75		
29	ხორცი	0,08	671,6		
30	მარილი	0,05	419,75		
	20 კაცზე კვებით უზრუნველყოფა სახლში მიტანით				
	აირი				
	წყალი				
	ელ. ენერჯია				
	სამეურნეო				
	ხელფასი				
	სულ ხარჯები				
	გეგმიური მოგება				
	ღირებულება დღგ გარეშე				

პრეტენდენტის რეკვიზიტები

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება -----

იურიდული პირის ხელმძღვანელის ან ფიზიკური პირის
სახელი და გვარი -----

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი -----

საიდენტიფიკაციო კოდი ან ფიზიკური პირის შემთხვევაში
პირადი ნომერი -----

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი -----

ელ-ფოსტა: -----

ბანკის დასახელება და ბანკის კოდი -----

ანგარიშის ნომერი -----

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

----- 2016 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ერთეული) - შემდეგში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას სახით და მეორეს მხრივ, ----- შემდეგში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი ----- სახით, ელექტრონული ტენდერის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო)

გასაწევი მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერა

მომსახურება მოიცავს უფასო სასადილოში მიმაგრებული მოქალაქეების (230 ადამიანი) ყოველდღიურ ერთჯერად კვებით მომსახურებას და ასევე მათთვის ვინც ვერ ახერხებს უფასო (20 ადამიანი) სასადილოში მისვლას მათთან სახლში მიტანის მომსახურებას. მიმწოდებლის მიერ მოწოდებული უფასო სასადილოს კვებითი მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ექიმ ან/და ექთან დიეტოლოგის მომსახურება. უფასო სასადილოს კვებითი მომსახურებისათვის სრულად უნდა იყოს მოცემული მომსახურების გრაფიკი და შემოთავაზებული მენიუ.

2.2 სატენდერო განცხადების ნომერი -----

შესყიდვის კატეგორია - **55300000** - რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი -- **55321000** - კერძების მომზადების მომსახურება

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს -----
-- ლარს

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

4.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქალაქი ფოთი

მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს - 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. თუ სატენდერო პროცედურებიდან გამომდინარე ხელშეკრულება გაფორმდება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ, მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის

საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმებული და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (გაწეული მომსახურების შესახებ).

6.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახური.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1 უზრუნველყოს უფასო სასადილოში მიმაგრებული მოქალაქეების (230 ადამიანი) ყოველდღიურ ერთჯერად კვებით მომსახურება და ასევე მათთვის ვინც ვერ ახერხებს უფასო (20 ადამიანი) სასადილოში მისვლას მათთან სახლში მიტანის მომსახურება. მიმწოდებლის მიერ მოწოდებული უფასო სასადილოს კვებითი მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ექიმ ან/და ექთან დიეტოლოგის მომსახურება, უფასო სასადილოს კვებითი მომსახურებისათვის მოცემული მომსახურების გრაფიკისა და შემოთავაზებული მენიუს შესაბამისად.

7.3.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციის მიერ გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტია 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების ვადას.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია

9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს -- -----

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ორი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ს/კოდი 215138143

ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12

„მიმწოდებელი“